ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. #2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა #103

15 მაისი 2012 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ

1. მიმდინარე წლის 25 მაისს დილის 11 საათზე, მოწვეული იქნას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. "ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოში მოქალაქეთა მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

1.2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობისათვის, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: ტარიელ ჩხიკვაძე

1.3. „მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: ტარიელ ჩხიკვაძე

1.4. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინქტუქციის დამტკიცების შესახებ"

მომხსენებელი: ლევან ჩხიკვაძე

1.5. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ზონების პირობების და I კლასს დაქვემდებარებულ შენობა–ნაგებობათა სახეობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განთავსება/მშენებლობა შესაძლებელია მშენებლობის ნებართვის გარეშე“ .

მომხსენებელი: ლევან ჩხიკვაძე

1.6. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესების დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 30 დეკემბრის №71 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ივანე ცინცაძე

1.7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების განკარგვის, გადაცემის, ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების თაობაზე – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.8. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესის დამტკიცების თაობაზე – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.9. ,,ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მალხაზ დოლიძე

1.10. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ელექტროენერგიით მომარაგების ობიექტების) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

მომხსენებელი: მალხაზ დოლიძე

1.11.”საარჩევნო სუბიექტის მიერ, საარჩევნო პლაკატების გასაკრავად და გამოსაფენად ადგილების გამოყოფის შესახებ”.

მომხსენებელი: თამაზ ურიდია

1.12. **“**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 20 დეკემბრის #76 განკარგულებაში – „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2012 წლის sახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ვლადიმერ გოგიბერიძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე–ჭავჭავაძის ქ.N4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*